

Post № 0114, ქ. თბილისი, საბატონოს III ჩიხი №11 // 11, Sabatono III Dead-end, Tbilisi, Georgia  
e-mail: [info@garcae.org.ge](mailto:info@garcae.org.ge), [www.garcae.org.ge](http://www.garcae.org.ge)

4 აპრილი 2024 წ.  
ქ. თბილისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს  
ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო ირაკლი,

მოგესხენებათ, რომ სამაცივრო მოწყობილობებში, ჰაერის კონდიციონერებში და თბურ ტუმბოებში მუშა ნივთიერებად - მაცივარაგენტად უმეტესად გამოიყენება ფთორირებული სათბურის აირი ან ოზონდამშლელი ნივთიერება. ამის გამო შესაბამისი სექტორი ექვემდებარება მკაცრ კონტროლს მთელ მსოფლიოში, საქართველოს ჩათვლით. კერძოდ, მაცივარაგენტების რეგულირებას ახდენს საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, ხოლო მაცივარაგენტის ნარჩენის მართვას აწესებს საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“. ეს ორი უმნიშვნელოვანესი კანონი სხვა ყველაფერთან ერთად მართავს ჩვენი ქვეყნის სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონირებისა და თბური ტუმბოების სექტორს, რომლის გარეშეც არ არსებობს ადამიანის საქმიანობა. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ამ კანონების სრულ თანხვედრაში მოყვანა.

მაგალითად, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის 7<sup>1</sup> მუხლის პ. 3-ის თანახმად სერტიფიცირებული პირი ვალდებულია „ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ“ მონრეალის ოქმით გათვალისწინებულ ნივთიერებაზე მომუშავე მოწყობილობის დემონტაჟის ან უტილიზაციის, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – მისი მომსახურების დროს ამ მოწყობილობის სისტემის გახსნამდე სრულად ამოიღოს აღნიშნული ნივთიერება. ამავე დროს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიხედვით ნარჩენი არის ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს. აქ სირთულეები წარმოიქმნება იმის გამო, რომ სამაცივრო სისტემიდან ამოღებული ნივთიერება შეიძლება იქნეს კვლავ გამოყენებული იმავე სამაცივრო სისტემაში ყოველგვარი დამუშავების გარეშე ან იქნეს აღდგენილი და გამოყენებული სხვა მსგავს მოწყობილობაში, მაგრამ ამის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ შესაბამისი აპარატურის მქონე ლაბორატორიაში. ანუ ლაბორატორიული ანალიზი განსაზღვრავს, შეუძლია თუ არა მფლობელს გამოიყენოს მისი სამაცივრო სისტემიდან ამოღებული მაცივარაგემტი როგორც პროდუქტი, თუ იგი ვალდებულია მოიშოროს ნივთიერება, რადგან ის აღარ ექვემდებარება აღდგენას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ან ყველა პირი, რომელსაც „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონით უფლება აქვს მოემსახუროს მაცივრებს და კონდიციონერებს, უფლებამოსილი უნდა იქნეს, რომ მაცივარაგენტს ადგილზე ჩაუტაროს ანალიზი, რათა განსაზღვროს ნარჩენია იგი თუ პროდუქტი, ან ყველა აღნიშნულ პირს აგრეთვე უნდა ჰქონდეს სახიფათო ნარჩენების მიღების და ტრანსპორტირების უფლება. ერთიც და მეორეც წარმოუდგენელია ქვეყანაში სამაცივრო და ჰაერის კონდიციონირების მოწყობილობების და მათი მომსახურე პირთა რაოდენობიდან გამომდინარე. ამავე დროს ძალიან ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მაცივარაგენტი არ იყრება ან იღვრება გარემოში, რომ ვიზუალურად ჩანდეს. ის გაიფრქვევა ატმოსფეროში ყოველგვარი კვალის გარეშე. ამიტომ, ფთორირებული სათბურის აირების და ოზონდამშლელი ნივთიერებების ემისიების შემცირების საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, ძალიან

აქტუალურია, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო ხელს უწყობდეს მაცივარაგენტების შეგროვებას სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების მოწყობილობების და თბური ტუმბოების ნებისმიერი მომსახურების ან დემონტაჟის დროს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე დაყრდნობით, გთხოვთ, შეიტანოთ ცვლილება კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც სისტემიდან ამოღებულ მაცივარაგენტს მიენიჭება ეკოტოქსიკური ნარჩენის (H14 ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით) სტატუსი მხოლოდ შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, რისი მაგალითიც უკვე არის ევროკავშირში (უნგრეთში).

ჩვენი მხრივ მზაობას გამოვთქვამთ ნებისმიერი ფორმით კომუნიკაციისა და საქმიან განხილვებში მონაწილეობისთვის.

პატივისცემით,

სულხან სულაძე  
გამგეობის თავმჯდომარე  
მობ.: 599 231832